საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 16/30 „21" 12 2015 წ

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

## დეკანის ბრძანება #16

### სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის უფროსის დანიშვნის შესახებ

"სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებული 2014 წლის 8 ოქტომბრის ფაკულტეტის საბჭოს №9 ოქმითა და თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 9 ოქტომბრის №6 ოქმით) 33-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის საბჭოს 2015 წლის 15 დეკემბრის სხდომის № 2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნოს პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი;
2. ბრძანების ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის კანცელარიას;
3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი #2

15 დეკემბერი, 2015

**სხდომას ესწრებოდნენ:** სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი, პროფესორი ამირან ბერძენიშვილი, ასოცირებული პროფესორები: ნინო დურგლიშვილი, ლიკა წულაძე, ნათელა დონაძე, კახა ქეცბაია, მარინა ბუძენიძე, ასისტენტ პროფესორები: თეონა მატარაძე, სალომე ნამიჭეიშვილი.

სხდომის თავმჯდონარედ არჩეულ იქნა ასოც. პროფესორი ნინო დურგიშვილი.

**დღის წესრიგი:** სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის არჩევა.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარის, ნინო დურგლიშვილის ინფორმაცია სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის ორი წლის ვადით არჩევის შესახებ. მან დამსრეთ გააცნო ფაკულტეტის დებულების შესაბამისი მუხლები, რომლის მიხედვოთაც უნდა წარიმართოს საარჩევნო პროცესი.

ნ. დურგლიშვილმა სთხოვა საბჭოს წევრებს სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატების დასახელება.

პროფესორმა ამირან ბერძენიშვილმა დაასახელა იაგო კაჭკაჭიშვილის კანდიდატურა. სხვა კანდიდატუები არ დასახელებულა.

**დაადგინეს:** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურის არჩევა განხორციელდეს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით. ის დეკანს .

**კრების თავმჯდომარე** ასოც. პროფ. ნინო დურგლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა იაგო კაჭკაჭიშვილის კანდიდატურა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო დეპარტამენტის საბჭოს 9 წევრმა და ყველა წევრმა ხმა მისცა პროფ. იაგო კაჭკაშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს:

1. სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ერთხმად არჩეულ იქნა პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი.
2. ეთხოვოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს თამარ დოლბაიას დაამტკიცოს პროფ. იაგო კაჭკაჭიშვილი სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

**სხდომის თავმჯდომარე:** ასოც. პროფესორი ნინო დურგლიშვილი

**სხდომის მდივანი:** ასისტ. პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის სხდომა

15 დეკემბერი, 2015 წელი

აკადემიური პერსონალი:

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი

ასოც. პროფესორი ნინო დურგლიშვილი

ასოც. პროფესორი ნათელა დონაძე

ასოც. პროფესორი კახა ქეცბაია

ასოც. პროფესორი ლია წულაძე

ასოც. პროფესორი მარინა ბურძენიძე

ასისტ. პროფესორი თეონა მატარაძე

ასისტ. პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი